ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 210 (3694)

24 1968 წ. ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.






ე. პეტროვი

## რა სახეობებში გამოვლინდებიან ჩემპიონები

**დ ღ ე ს**

**ტანვარჯიში.** ვაჟები. გუნდური შეჯიბრება. აბსოლუტური პირადი პირველობა.

**ცურვა.** ქალები. 800 მ თავისუფალი სტილით, 200 მ ბატერფლაით. **ვაჟები.** 200 მ ბატერფლაით, 200 მ თავისუფალი სტილით.

**ფარიკაობა.** ქალები. რაპირა (გუნდური შეჯიბრება).

**ხ ვ ა ლ**

**კალათბურთი.** ფინალური შეხვედრები.

**ტანვარჯიში.** ქალები. პირადი პირველობა ცალკეულ იარაღებზე.

**ნიჩბოსნობა** (ბაიდარებით და კანოეთი). ფინალები.

**ცხენოსნობა.** დიდი პრიზი გახედნაში.

**ცურვა.** ქალები. 200 მ გულაღმა, 400 მ კომპლექსური. **ვაჟები.** 200 მ გულაღმა.

**ფარიკაობა.** ვაჟები. დაშნა. გუნდური ტურნირი.



ესპადრონით მოფარიკავეთა გუნდურ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს.

სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან) ვ. სიდიაკი, ე. ვინოკუროვი და უ. მავლიხანოვი; მეორე რიგში — ვ. ნაზლიმოვი და მ. რაკიტა.

# მეათე დღის სენსაციები

მეხიკოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად შეიტანეს მრგვალ სტენდზე სროლა. ცხადია, ამ სახეობაში პირველი ოქროს მედლისთვის ყველა ქვეყანაში გულმოდგინედ ემზადებოდნენ, მაგრამ, როგორც ტურნირმა ცხადყო ყველაზე უკეთ სსრ კავშირის სპორტსმენი, მოსკოველი ე. პეტროვი მომზადებულა. პირველ დღეს 100 სამიზნიდან მან მხოლოდ ორს ააცდინა, მაგრამ ეს დაწინაურებისთვის ცოტა აღმოჩნდა. პეტროვს ერთი ქულით აჯობა ჩილიელმა ხორხე ჟოტარიმ. მეორე დღეს მოსკოველმა სპორტსმენმა ყველა სამიზნეს უშეცდომოდ ესროლა. საბოლოოდ მან 200-დან 198 ქულა დააგროვა, მაგრამ პირველობისთვის არც ეს აღმოჩნდა საკმარისი, ვინაიდან ფინიშთან ასეთივე მაჩვენებლით მივიდნენ იტალიელი რ. გარანიანი და კ. ვირნჰირი (გფრ), ოქროს მედლის მფლობელის ვინაობის დასადგენად საჭირო გახდა დამატებითი სერია. აქ კი თავი ისახელა პეტროვმა, რომელმაც ყველა 25 სამიზნე დაამსხვრია. მისი მეტოქეები იძულებულნი გახდნენ გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენისთვის მიელოცათ.

ოლიმპიურ აუზში კიდევ სამი ოქროს მედალი გათამაშდა. 100 მეტრზე გულაღმა ცურვის ფინალურ ტურნირში თავიდანვე დაწინაურდა ახალგაზრდა როლანდ მათესი (გდრ). იგი თანდათან უმატებდა ტემპს და როცა ფინიშთან მივიდა, მეტოქენი თითქმის 2 მეტრით ჩამორჩებოდნენ. მათესმა ახალი ოლიმპიური რეკორდი (58,7 წამი) დაამყარა. გერმანელი სპორტსმენის გამარჯვება არავის გაკვირვებია, ვინაიდან იგი უკვე ორი წელია მსოფლიოში უძლიერეს მოცურავედ ითვლება ამ სახეობაში.

საინტერესო იყო ვაჟთა ტურნირი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. ფინალში გამოდიოდა სსრ კავშირის 3 სპორტსმენი — პანკინი, კოსინსკი და მიხაილოვი. ფინალამდე გამართულ შეჯიბრებებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა მასპინძელთა წარმომადგენელს თ. მუნიოსს, თუმცა ოქროს მედლის ფავორიტად მას მაინც არავინ მიიჩნევდა. ეს აზრი თითქმის ფინალშიც დასტურდებოდა — 150 მეტრზე ლიდერობდა კოსინსკი. მაგრამ ბოლო მობრუნების შემდეგ მუნიოსმა ერთბაშად უმატა ტემპს, ჯერ პანკინი ჩამოიტოვა, შემდეგ ბრაიენი (აშშ) და ფინიშზე კოსინსკისაც გაასწრო. მუნიოსმა (2.28,7) ამ თამაშებში თავის ქვეყანას პირველი ოქროს მედალი მოუპოვა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ტურნირის დამთავრების შემდეგ ტრიბუნებზე დიდხანს არ შეწყდარა ტაში. კოსინსკი II ადგილს დასჯერდა — 2.29,2. პანკინმა და მიხაილოვმა IV და V ადგილები დაიკავეს.

მესამე სახეობა, რომელშიც თამაშების კიდევ ერთი ჩემპიონი გამოავლინა, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვა

(გაგრძელება მე-2 გვ.)

MEXICO 68

## ოლიმპიადის ტაბლო

### მძლეოსნობა

**ბირთვის კვრა (ქალები)**

1. მ. ჰელმბოლდტი-გუმელი (გდრ) — 19,61 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. მ. ლანგე (გდრ) — 18,78
3. ნ. ჩიჟოვა (სსრ კავშირი) — 18,19
4. ი. ბოგნარ-ლენდვაი (უნგრეთი) — 17,78
5. რ. გარიშბოი (გდრ) — 17,72
6. ი. ხრისტოვა (ბულგარეთი) — 17,25.

**1500 მეტრზე რბენა**

1. კ. კეინო (კენია) — 3.34,9 (ახალი ოლიმპიური რეკორდი)
2. ჯ. რაიანი (აშშ) — 3.37,8
3. ბ. ტიუმლერი (გფრ) — 3.39,0
4. ხ. ნორპოტი (გფრ) — 3.42,5
5. ჯ. უეტონი (ინგლისი) — 3.43,8
6. ჟ. ბოქსბერგერი (საფრანგეთი) — 3.46,6.

**სიმაღლეზე ხტომა (ვაჟები)**

1. რ. ფოსბიური (აშშ) — 224 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ე. კარაზერსი (აშშ) — 222
3. ვ. გავრილოვი (სსრ კავშირი) — 220
4. ვ. სკვორცოვი (სსრ კავშირი) — 216
5. რ. ბრაუნი (აშშ) — 214
6. დ. ბროსა (იტალია) — 214.

### ცურვა

**ესტაფეტა 4×200 თავისუფალი სტილით (ვაჟები)**

1. აშშ (ჯ. ნელსონი, ს. რერიჩი, მ. სპიტცი, დ. შოლანდერი) — 7.52,3
2. ავსტრალია — 7.53,7
3. სსრ კავშირი (ვ. ბური, ს. ბელიც-გეიმანი, გ. კულიკოვი, ლ. ილიჩოვი) — 8.01,6
4. კანადა — 8.03,2
5. საფრანგეთი — 8.03,7
6. გფრ — 8.04,3

**100 მეტრი ბატერფლაით (ვაჟები)**

1. დ. რასელი (აშშ) — 55,9 (ოლიმპიური რეკორდის გამეორება)
2. მ. სპიტცი (აშშ) — 56,4
3. რ. უოლესი (აშშ) — 57,2
4. ვ. ნემშილოვი (სსრ კავშირი) — 58,1 (სსრ კავშირის რეკორდი)
5. ს. მარუია (იაპონია) — 58,6
6. ი. სუზდალცევი (სსრ კავშირი) — 58,8.

**100 მეტრი ბატერფლაით (ქალები)**

1. ლ. მაკლემენტსი (ავსტრალია) — 1.05,5
2. ე. დენიელი (აშშ) — 1.05,8
3. ს. შეილდსი (აშშ) — 1.06,2
4. ა. კოკი (ჰოლანდია) — 1.06,2
5. ა. დიარმატი (უნგრეთი) — 1.06,8
6. ჰ. ჰუსტედე (გფრ) — 1.06,9.

### ფარიკაობა

**ესპადრონი (გუნდური ჩათვლა)**

1. სსრ კავშირი (მ. რაკიტა, ე. ვინოკუროვი, ვ. ნაზლიმოვი, უ. მავლიხანოვი, ვ. სიდიაკი)
2. იტალია
3. უნგრეთი
4. საფრანგეთი
5. პოლონეთი
6. აშშ.

### ველოსპორტი

**ტანდემებით რბოლა**

1. საფრანგეთი (დ. მორელონი და პ. ტრანტენი)
2. ჰოლანდია (ი. იანსენი და ლ. ლუვესაინი)
3. ბელგია (დ. გოენსი, რ. ვან-ლანკერი)
4. იტალია (ვ. გორინი და ლ. ბორგეტი).

**გამოდევნებითი გუნდური რბოლა 4 კმ**

1. დანია (ასმუნსენი, პედერსენი, ოლსენი, ფრეი)
3. იტალია (ბოსისიო, ჩემელო, რონკალია, მორბიატო)
4. სსრ კავშირი (ლაცისი, მოსკვინი, კუზნეცოვი, კოლიუშევი), — (მეორე ადგილი არავის მიენიჭა).

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეათე დღის სენსაციები

(გაგრძელება)

იყო. აქ ახალი ოლიმპიური რეკორდით გაიმარჯვა დ. მაიერმა (აშშ) — 2.10,5.

ტოჩიმილკოს არხზე გაიმართა ასპარეზობა ბაიდარებითა და კანოებით. ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრების ნახევარფინალში გავიდა ა. შაპორენკო, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ მანვე ს. მოროზოვთან ერთად „ორიანებით“ რბოლაშიც მოიპოვა ბრძოლის გაგრძელების უფლება. ნახევარფინალში გავიდნენ, აგრეთვე სსრ კავშირის ვაჟთა ოთხადგილიანი ბაიდარა და ლ. პინაევა ერთადგილიანით. პინაევა და ა. სერედინა კი ორადგილიანით უკვე ფინალში შევიდნენ. მობაიდარეებს არც კანოეთი მოასპარეზენი ჩამორჩნენ. ნ. პორკუპეცმა და მ. ზამოტინმა ძნელ ბრძოლაში მოიგეს წინასწარი ტურნირი და ფინალში ალბათ გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან. სამაგიეროდ, ცუდად გამოვიდა ვ. გალკოვი, რომელიც ერთადგილიანი კანოეთი წინასწარ ტურნირში მხოლოდ IV იყო და ახლა დამამშვიდებელ რბოლაში უნდა ჩაებას ფინალის საგზურისთვის.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლას ორი დღე ეთმობა. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა პოლონელი ი. ზაპედსკი, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 298 ქულა დააგროვა და 1 ქულით ჩამოიტოვა რ. სულეიმანოვი (სსრ კავშირი). წინაა მეორე 30 გასროლა, რომელმაც საბოლოოდ უნდა გაარკვიოს, ვის რომელი მედალი შეხვდება.

გრძელდება მოკრივეთა შეჯიბრებანი. სსრ კავშირის 11 სპორტსმენიდან ტურნირს ოთხი გამოაკლდა. „არენა მეხიკოს“ რინგზე გამართულ ბრძოლაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ვ. მუსალიმოვმა, რომელმაც სძლია ესპანელ ხ. დურანოს. ნახევარფინალის საგზურისთვის ძნელი ბრძოლა გადაიტანეს ა. კისელიოვმა და დ. პოზნიაკმა. კისელიოვმა ტურნირიდან გამოთიშა პოლონელი ვ. რუდოვსკი, პოზნიაკმა კი ი. შლეგენელი (გდრ), ნახევარფინალში გავიდა ი. ჩეპულისიც. ამ მძიმეწონოსანმა თამაშების დებიუტანტმა მოუგო ბ. ანდერსს (გდრ).

სენსაციური იყო კოშკიდან წყალში მხტომელ ქალთა წინასწარი შეჯიბრება: ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი ლ. ბუში (აშშ) და ამავე ოლიმპიადის ბრი-

(დასასრული მე-3 გვ.)

## ოლიმპიადის ტაბლო

(დასასრული)

ცხენოსნობა

ხამჯიდი (პირადი ჩათვლა)

1. ჟან-ჟაკ გიონე (საფრანგეთი) — 38,86 საჯარიმო ქულა
2. დ. ოლჰიუზენი (ინგლისი) — 41,61
3. მ. პეიჯი (აშშ) — 52,31
4. რ. მიდი (ინგლისი) — 64,46
5. ბ. ჯონსი (ინგლისი) — 69,86
6. ჯ. უოფორდი (აშშ) — 74,06...
10. გ. გაზიუმოვი (სსრ კავშირი) — 95,70...
20. ა. ევდოკიმოვი (სსრ კავშირი) — 171,0.

გუნდური ჩათვლა

1. ინგლისი
2. აშშ
3. ავსტრალია
4. საფრანგეთი
5. გფრ
6. მექსიკა.

აფროსნობა

„ფინის“ კლასი

1. სსრ კავშირი (ვ. მანკინი) — 11,7 ქულა
2. ავსტრია — 53,4
3. იტალია — 55,1
4. ავსტრალია — 67,0
5. საბერძნეთი — 71,0
6. ფინეთი — 72,0.

„5,5“

1. შვეცია — 8,2
2. შვეიცარია — 32,0
3. ინგლისი — 39,2
4. გფრ — 47,4
5. იტალია — 51,1
6. კანადა — 68,0...
9. სსრ კავშირი — 77,7.

„დრაკონი“

1. აშშ — 6
2. დანია — 26,4
3. გდრ — 32,7
4. კანადა — 64,1
5. ავსტრალია — 65,0
6. შვეცია — 71,4...
11. სსრ კავშირი — 126,0.

„მფრინავი ჰოლანდიელი“

1. ინგლისი — 3
2. გფრ — 43,7
3. ბრაზილია — 48,4
4. ავსტრალია — 49,1
5. ნორვეგია — 52,4
6. საფრანგეთი — 68,0...
15. სსრ კავშირი — 108,7

„ვარსკვლავისებური“

1. აშშ — 14,4
2. ნორვეგია — 43,7
3. იტალია — 44,7
4. დანია — 50,4
5. ბაგამის კუნძულები — 63,4
6. ავსტრალია — 68,7...
16. სსრ კავშირი — 117,0.

# ოლიმპიური მოზაიკა

### ვილის ყნოსვამ უმტყუნა

ვილის საქმე ცუდადაა. ლაპარაკია დასავლეთ გერმანიის დელეგაციის მეთაურზე, შპორტბუნდის პრეზიდენტზე, სპორტში ცივი ომის ძველ რაინდზე, დიუსელდორფელ ფაბრიკანტზე ვილი დაუმეზე. დაუმემ ჯერ კიდევ მაშინ იწვნია მარცხი, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საზოგადოებრიობის გავლენით მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება — შეწყვეტილიყო მუშათა და გლეხთა მსოფლიოში პირველი გერმანული სახელმწიფოს ათლეტთა დისკრიმინაცია და ამიერიდან მათ გუნდს ჰქონოდა სახელი — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი“.

შპორტბუნდის მეთაური ცდილობდა ჩაეფუშა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ როცა ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა, მან ერთ ხანს გაჩუმება არჩია. როგორც ჩანს, იგი ცდილობდა რაიმე ხერხით გამოსულიყო მსოფლიო სარბიელზე. იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა...

დაუმემ განაცხადა, იმ ტერიტორიაზე, რომელიც გდრ-ის გუნდს უჭირავს, ცარიელი ამპულა ვიპოვეო: „როცა ავიღე და ვუყნოსე, მყისვე მივხვდი, რომ ეს იყო უძლიერესი ნარკოტიკი პერვიტინი“.

მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოკლეფეხება ტყუილი გამოდგა. კომპეტენტურმა საერთაშორისო ორგანოებმა, რომელთაც ოლიმპიადაზე დაკისრებული აქვთ კონტროლი დოპინგის გამოყენების საკითხში, ძველ მატყუარას თავისი ადგილი მიუჩინეს. ხაექიმო კომისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს: „ჩვენ უკვე შევამოწმეთ რამდენიმე ასეული სპორტსმენის. მათ შორის, მედლების მფლობელთა სისხლი. სიხარულით უნდა განვაცხადოთ, რომ მეხიკოში ჯერ არც ერთ სპორტსმენს არ გამოუყენებია ნარკოტიკული საშუალებები“. დიუსელდორფელ ფაბრიკანტს ყნოსვამ ამჯერად აშკარად უმტყუნა. სიყალბემ სენსაცია ვერ გამოიწვია.



თავისუფალი სტილის მძიმეწონოსან მოჭიდავეთა შორის ოლიმპიური ოქროს მედალი მოიხვეჭა ა. მედვედმა. იგი ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონიცაა, ოღონდ ქვემძიმე წონაში.

სურათზე: ა. მედვედი საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ლ. პეტრიკსა (მარცხნივ) და ნ. კუჩინსკაიას შორის.

# პრესა ღელავს

მეხიკო, 22 ოქტომბერი. „რუსებმა გაიმეორეს ტოკიოს გმირობა, — წერს სპორტული გაზეთი „ესტო“ საბჭოთა მოფარიკავეებზე.—მათგან ყველაზე შედეგიანმა — ვლადიმერ ნაზლიმოვმა ოთხი გამარჯვება მოიპოვა. მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. ჩვენ ვიზიარებთ იმ სიხარულს, რომელიც ამ ბრწყინვალე სპორტსმენებს დაეუფლა მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი ტრიუმფის ამბავი შეიტყვეს“.

აი, რას წერს „ერალდო დე მეხიკო“ ჩვენს ნატაშა კუჩინსკაიაზე: „... განსაკუთრებით უმუხთლა ბედმა საბჭოთა ანგელოზს, „მექსიკის პატარძალს“ ნატაშა კუჩინსკაიას, რომელსაც ორძელზე ვარჯიშის დროს შეცდომა მოუვიდა. წარმოგვიდგენია, როგორ განიცდის ამ მარცხს ნატაშა, მაგრამ კიდევ უფრო განვიცდით ჩვენ, მექსიკელები. რატა მაინცდამაინც მას, მშვენიერ ნატაშას შეემთხვა ეს“.

იმავე გაზეთში წაიკითხავდით სხვა, პირდაპირ უნდა ითქვას, ჩვენთვის უსიამოვნო, მაგრამ სამართლიან სტრიქონებსაც: „სად იყო რუსული ძლიერება მძლეოსნობაში? ამჯერად აქ უფრო უმწეობა იგრძნობოდა... მელბურნის ტრიუმფის, რომსა და ტოკიოში შედარებით თანაბარი გამოსვლის შემდეგ საბჭოთა მძლეოსნური გუნდი მეხიკოში, უბრალოდ, სუსტი იყო“. რას ვიზამთ, ამხანაგო მძლეოსნობის ფედერაციის წევრებო, ფაქტებს ვერსად გაექცევი...

სხვათა შორის, დღეს, გვიან საღამოს ჩვენს სამუშაო დარბაზში გამოცხადდა შიკრიკი პაკეტით. მექსიკის ჟურნალისტთა კლუბი გვატყობინებდა, რომ ჟურნალისტებიც აცხადებენ თავიანთ ოლიმპიადას იმ კორესპონდენტებისთვის, რომლებიც თამაშებს აშუქებენ. სპორტული ჟურნალისტიკის სხვადასხვა ჟანრში პირველ ადგილებზე გასული ცხრა ჟურნალისტი ოქროს მედლებსა და დიპლომებს მიიღებს.

# როცა ქალაქს სძინავს

მეხიკო, 22 ოქტომბერი. ოლიმპიური სოფლის ადმინისტრაციული შენობის ელექტროსაათზე ოთხი ნოლი აინთო. იწყება საერთაშორისო სპორტული თამაშების ახალი, მეათე დღე — 22 ოქტომბერი. ზუსტად გრაფიკის მიხედვით — შუაღამისას შეიცვალა დარაჯი „სოფლის“ ჭიშკართან. სოფელი კი ერთბაშად როდი იძინებს. კენიის დელეგაცია, რომელიც მძლეოსანთა შეჯიბრების დამთავრებას აღნიშნავს, ტამ-ტამებს ახმაურებს. ამ შეჯიბრებამ დიდი სიხარული მოუტანა კენიის წარმომადგენლებს.

ბრაზილიელებს კენიელებზე ნაკლები მედლები აქვთ, მაგრამ ისინიც ასევე მხიარულობენ. მათ არგენტინის, პერუს, ვენესუელის, ეკვადორის სპორტსმენები სწვევიან სტუმრად. მასპინძლები მხიარულად ცეკვავენ სამბუს. გამოცოცხლებაა ნორვეგიელთა დელეგაციაშიც. ქორწილი აქვთ. ნეფე-დედოფალი ოლიმპიელები არიან. საქორწილო ზეიმისთვის ემზადებიან იტალიელებიც. ერთ-ერთი მწვრთნელი ცოლად ირთავს ნორა დელ პასოს, მექსიკელ ქალიშვილს, მთარგმნელს, რომელიც ამ დელეგაციასთან მუშაობს.

შუაღამე გადავიდა, მაგრამ სასადილოებში მაინც ფუსფუსია. ერთ-ერთი, სადაც ინტერნაციონალური სამზარეულოა, სწორედ ამ დროს იკეტება. მანქანებით სურსათს ეზიდებიან.

ინტერვიუს ვთხოვთ ოლიმპიური სოფლის კვების სექტორის ხელმძღვანელს. იგი ამბობს, რომ ათლეტები უმადობას არ უჩივიან, რომ ისინი თამაშების დღეებში შეჭამენ 540 ტონა ხორცს, 900 ათას კვერცხს, 42 ტონა თევზს, 14 ტონა შაშხს, 33 ტონა ყველს, მილიონ ულუფა ნაყინს და ოთხ ტონა... მდოგვს.

მთელ ღამეს მუშაობს ფოსტა. დღე-ღამეში 10–12 ათასი წერილი უნდა განაწილდეს. ყველაზე მეტ წერილს ღებულობს ნატალია კუჩინსკაია — დღეში ასამდე. და თითქმის ყველა წერილში ნატაშას სურათის გაგზავნას სთხოვენ.

ზოგიერთმა ოლიმპიელმა შეჯიბრება დაამთავრა და უკვე ტოვებს სოფელს. ამაღამ მიემგზავრება ტუნისის, რუმინეთის, სალვადორის, მონაკოს 90 სპორტსმენი. სულ მეხიკოდან უკვე 600 მონაწილე წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, ბევრი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ თამაშების პირველ კვირას სოფელში 7900 კაცი ცხოვრობდა.

კორპუსში „პრომეთე“, სადაც საბჭოთა დელეგაცია ცხოვრობს, სინათლე მარტო ერთი ფანჯრიდან გამოდის. ეს სამდივნოს ოთახია. საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ისურინი ითვლის ქულებს, მედლებს, ამზადებს მორიგ ბიულეტენს. დილით ბიულეტენები გუნდების ხელმძღვანელებს უნდა დაურიგონ. უცებ ტელეფონი აწკრიალდა.

— მომიტევეთ შეწუხებისთვის, — გაისმის უცნობის ხმა. — აკაპულკოდან, „მამაცთა კლუბიდან“ ვრეკავთ. გადავწყვიტეთ ჩვენი კლუბის საპატიო წევრთა რიცხვში ჩავრიცხოთ ოლიმპიური ჩემპიონი ვალენტინ მანკინი.

აკაპულკოში 40-მეტრიანი კლდიდან ოკეანის ვიწრო ყურეში ხტებიან მამაცი მექსიკელი ჭაბუკები. ისინი ოცდაათამდე იქნებიან. სწორედ ეს ჭაბუკები შეადგენენ „მამაცთა კლუბს“.

შარშან მათ კლუბის საპატიო წევრად მიიღეს ცნობილი სპორტსმენები, მათ შორის, საბჭოთა ათლეტები იანის ლუსისი, ვიქტორ კურენცოვი, რომუალდ კლიმი. ახლა მათ რიცხვს მანკინიც მიემატა.



# მეათე დღის სენსაციები

(დასასრული)

ნჯაოს პრიზიორი გ. ალექსეევა (სსრ კავშირი) ფინალში ვერ მოხვდნენ. ასპარეზობა 14 ქვეყნის 24 სპორტსმენმა დაიწყო და მათგან თორმეტს მაყურებელთა რიგებში მოუწევს გადასვლა. უხეიროდ გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონი, 19 წლის ნ. კარპუხინაც, რომელმაც 22-ე ადგილი დაიკავა. ახლა ჩვენი სამეულიდან მხოლოდ ევროპის ჩემპიონი ნ. ლობანოვა განაგრძობს ბრძოლას ოლიმპიური ჯილდოსთვის. დაწინაურდა ევროპის თასის მფლობელი, 16 წლის ჩეხოსლოვაკიელი მ. დუხკოვა — 55,25 ქულა. მას სულ 0,01 ქულით ჩამორჩება ლობანოვა. ამერიკელთაგან საუკეთესო ე. პეტერსონი III ადგილზეა.

ფეხბურთელთა ტურნირის ფინალში გავიდნენ უნგრეთისა და ბულგარეთის გუნდები. უნგრელებმა ნახევარფინალში იოლად დაამარცხეს იაპონელები 5:0, ხოლო ბულგარელებმა ძნელ ბრძოლაში ძლიეს მექსიკელებს 3:2.

დასასრულს უახლოვდება ოლიმპიური ტურნირი ბალახის ჰოკეიში. ამ სახეობაში ოქროს მაძიებლები თავიდან ორ ჯგუფად დაიყვნენ. „ა“ ჯგუფში ლიდერობენ ინდოეთისა და ახალი ზელანდიის ჰოკეისტები — 10-10 ქულა. „ბ“ ჯგუფში წინ არიან პაკისტანის წარმომადგენლები, რომლებმაც უკვე 12 ქულა მოაგროვეს და პრაქტიკულად გაინაღდეს ფინალში თამაშის უფლება.

მოფარიკავეებმა რვიდან ექვს სახეობაში დაამთავრეს შეჯიბრებები. საბჭოთა ნაკრებს ყველაზე უხვი მოსავალი აქვს: ოქროს 2 და ვერცხლის 3 მედალი. მიუხედავად დიდი მონდომებისა, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გ. კრისმა ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ეს მაღალი ტიტული და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოქროს ჯილდოს ბედი გადაწყდა სამი სპორტსმენის — კრისის, უნგრელ დ. კულჩარისა და იტალიელ ჯ. საკაროს ხელახალი ბრძოლის შემდეგ. ჩემპიონი გახდა 28 წლის ბუდაპეშტელი სტუდენტი კულჩარი. მან ორივე მეტოქე დაამარცხა, შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ კრისი და საკარო. როცა ანგარიში 3:3 იყო, ბრძოლის დრო ამოიწურა და ორივე მეტოქეს დამარცხება ჩაეთვალა. მიღებულ ჩხვლეტათა რაოდენობით II ადგილი წილად ხვდა კრისს.

„აუდიტორიო ნასიონალში“ ქალები ტანმოვარჯიშე ვაჟებმა შეცვალეს. ინტერესი იაპონელ და საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებისადმი იმდენად დიდია, რომ ასპარეზობის ორგანიზატორებმა მრავლად აღმოაჩინეს ყალბი ბილეთები. სასწრაფო ზომების მიღების შემდეგ მაყურებლები სპეციალური საშვებით შეუშვეს. სავალდებულო პროგრამის შემდეგ იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა გუნდურ ჩათვლაში 1,25 ქულით გაუსწრეს საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებს, იაპონიის გუნდს 286,40 ქულა აქვს. პირად ჩათვლაში დაწინაურდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი მ. ვორონინი, რომელმაც 57,90 ქულა დააგროვა. მას დღის უმაღლესი შეფასება ხვდა ორძელსა და რგოლებზე ვარჯიშში — ორივეჯერ 9,75 ქულა მიიღო. იაპონელთაგან საუკეთესო ტანმოვარჯიშე ა. ნაკაიამა ვორონინთან 0,8 ქულას აგებს. საბჭოთა გუნდის ვეტერანებს ს. დიომიდოვსა და ვ. ლისიცკის 57,10 და 56,55 ქულა აქვთ. წინაა ნებისმიერი პროგრამა.

კალათბურთელთა ტურნირის ნახევარფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა მოულოდნელი მარცხი იწვნიეს იუგოსლაველებთან — 62:63 (27:31). ჰელსინკის ოლიმპიადიდან მოკიდებული, ჩვენი კალათბურთელები მუდამ ფინალის მონაწილენი იყვნენ, ახლა კი მხოლოდ III-IV ადგილისთვის იბრძოლებენ ბრაზილიის ნაკრებთან. იუგოსლაველები თავიდანვე დაწინაურდნენ. შუა ტაიმში ანგარიში იყო 20:10 იუგოსლაველების სასარგებლოდ. ჩვენებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლეს სხვაობის ერთგვარად შემცირება. შესვენების შემდეგ საბჭოთა კალათბურთელები დაწინაურდნენ — 34:33, 40:35 მალე პაულაუსკასმა დატოვა მოედანი, თუმცა იუგოსლაველი კორაჩიც ტოვებს თამაშს. მატჩის 30-ე წუთზე კვლავ საბჭოთა კალათბურთელები იყვნენ წინ — 47:46. მაგრამ ამ დროს ანდრეევმაც დასტოვა მოედანი და შემდეგ იუგოსლაველებს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. თამაშის დამთავრებას 2 წუთი რომ აკლდა, იუგოსლაველები ერთი ბურთით იგებდნენ მატჩს — 61·60. ამ დროს ვოლნოვმა ხელთ იგდო ბურთი, მაგრამ იქვე ჩააბარა მეტოქეს. საბოლოოდ შეხვედრა დრამატული მარცხით დამთავრდა.

ამერიკელებმა ნახევარფინალური მატჩი იოლად მოუგეს ბრაზილიელებს — 74:63 (42:25).

ფრენბურთელ ქალთა ასპარეზობას ორი ლიდერი ჰყავს: სსრ კავშირისა და იაპონიის ნაკრები გუნდები. ორივე გუნდს 5-5 მატჩი აქვს ჩატარებული და ორივემ ქულათა მაქსიმუმი (10-10) დააგროვა. III ადგილზე 8-8 ქულით არიან პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ფრენბურთელები. ვაჟთა ტურნირში დაუმარცხებლად იბრძვის ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (12 ქულა). 11 ქულით II ადგილზე არიან სსრ კავშირის ფრენბურთელები.

წყალბურთელთა შეჯიბრების ოთხივე ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია. სსრ კავშირის წყალბურთელები ნახევარფინალში შეხვდებიან იტალიელებს, ხოლო უნგრელები — იუგოსლაველებს. ჩვენმა გუნდმა თავის ქვეჯგუფში უკანასკნელი მატჩი მოუგო ბრაზილიის ნაკრებს — 8:2.



წარმატებით ასპარეზობენ საბჭოთა წყალბურთელები, რომლებიც ოლიმპიური თამაშების ნახევარფინალში გავიდნენ.

სურათზე: მომენტი საბჭოთა და ამერიკელ წყალბურთელთა მატჩიდან, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 8:8.

MEXICO 68



მას შემდეგ რაც ვ. სანეევმა და რ. ბიმონმა სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს ახალი რეკორდები დაამყარეს, სიმაღლეზე მხტომელების ჯერიც დადგა. ვ. ბრუმელის მსოფლიო მიღწევას (228 სმ) უტევდნენ საბჭოთა ათლეტები ვ. გავრილოვი და ვ. სკვორცოვი, ამერიკელები რ. ფოსბიური და ე. კარაზერსი, მაგრამ მიზანს ვერავინ მიაღწია — მსოფლიოს რეკორდი ხელუხლებელი დარჩა. სამაგიეროდ, ბრუმელს ერთი რეკორდი მაინც წაართვეს — მოხსნეს მისი ოლიმპიური მიღწევა — 218 სმ. გამარჯვება საბოლოოდ ფოსბიურის დარჩა, რომელმაც 224 სმ სიმაღლე გადალახა.

სურათზე: ფოსბიური ასპარეზობისას.

## ოლიმპიური მოზაიკა

### რას თამაშობენ პატარა მექსიკელები?

მექსიკური გაზეთი „ნოვედადესი“ წერს, რომ ოლიმპიადასთან დაკავშირებით მეხიკოში ბავშვებმაც შეცვალეს თამაშები. მანამდე ყველაზე პოპულარული იყო კორიდა, როცა ერთი ბავშვი ტორეადორს განასახიერებდა, მეორე კი გაშმაგებულ ხარს. ახლა ყველა პატარა მექსიკელი „ოლიმპიადის ფინალს“ თამაშობს.

გაზეთის სიტყვით, ასეთი თამაშები თვალნათლივ ამტკიცებენ, რომ ოლიმპიადამ მიაღწია მთავარ მიზანს — იგი ხელს უწყობს ამ ქვეყანაში ჭეშმარიტად მასობრივი სპორტის განვითარებას, დაწყებული ბავშვობის ასაკიდან. ბავშვები ქუჩაში კი არ დაეხეტებიან უმიზნოდ და უსაქმოდ, თამაშობენ, აწყობენ პატარა შეჯიბრებებს. ამასთან, ყველა გოგონას, როგორც წესი, სურს იყოს ტაიესი, უსწრაფესი ზანგი მორბენალი.

ბიჭებს სხვადასხვა შეხედულება გაუჩნდათ. მორბენლები ჰაინსებად, სმითებად და ევანსებად თვლიან თავს, მხტომელები ბიმონისა და სანეევის „წოდებისთვის“ იბრძვიან. მაგრამ, როგორც გაზეთი წერს, „არ არის მეხიკოში არც ერთი ბიჭი, რომელსაც თამაშის დროს ჟაბოტინსკის განსახიერება არ სურდეს“.

### „გაგახსენებთ ჩემს თავს“

მექსიკელი სპორტსმენი ქალი ენრიკეტა ბასილიო, რომელმაც XIX ოლიმპიური თამაშების კოცონი დაანთო, ცოტა მოწყენილია. მექსიკის რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენაში (55 წამი) ფინალშიც კი ვერ მოხვდა და თამაშების დაწყებიდან უკვე ორი დღის შემდეგ გამოეთიშა ასპარეზობას. „მე უკვე ყველამ დამივიწყა, — უთხრა ენრიკეტამ ჟურნალისტებს, თუმცა წავაგე, მაგრამ ოლიმპიურმა თამაშებმა მაინც ბევრი რამ მომცა. ჩემთვის ეს იყო მძლეოსნობის თვალსაჩინო კურსი. ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მასწავლიდა იმდენს, რამდენიც ყოველდღიურად ვისწავლე ყველა კონტინენტის უძლიერეს მორბენალთა შეჯიბრებებზე. ვოცნებობ იმ დროზე, როცა ხალხს ჩემს თავს გავახსენებ, ვფიქრობ, მივაღწევ ამას. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და ვოცნებობ, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ჩემი სახელი ნახსენები იქნება არა ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალის აღწერაში, არამედ ოლიმპიადის ფინალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულებზე დაწერილ რეპორტაჟებში“.

### კიდევ ერთი გამარჯვება

ლუგანო, 22 ოქტომბერი. XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრები მატჩს უგებს ისრაელის გუნდს — 3:0. დიდოსტატებმა სპასკიმ, კორჩნოიმ და სმისლოვმა დაამარცხეს თავიანთი მეტოქენი. პირველ დაფაზე გადადებულ პარტიაში მოგება შეუძლია მსოფლიო ჩემპიონს პეტროსიანსაც.

პოლუგაევსკიმ სძლია პორტუგალიელ მეტოქეს წინადღით დაუმთავრებელ პარტიაში.

მეხუთე ტურში ჩვენებმა დაამარცხეს ფილიპინების გუნდი — 4:0. ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 18,5.

მომდევნო ტურში სსრ კავშირის ნაკრები შეხვდება ინგლისელ მოჭადრაკეებს.

### ახალი ამბები

● აშხაბადი, 23 ოქტომბერი. დღეს გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის XIII ტური. ესტერკინამ მოუგო რანიკუს, ბელოვამ — რუსანკევიჩს, გურფინკელმა — სანაძეს, სტარჩენკომ — შულს, ჩაიკოვსკაიამ დაამარცხა რუდენკო, დააგროვა 9 ქულა და დაეწია ლიდერს, ნ. ალექსანდრიას.

4 პარტია გადაიდო. ალექსანდრიას ზატულოვსკაიასთან შეხვედრაში უარესი პოზიცია აქვს.

თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავი მთელმა რესპუბლიკამ დიდი ზეიმით აღნიშნა. ამ დიდი დღესასწაულის დღეებში უნივერსიტეტის სპორტსმენებმა მრავალი საინტერესო ღონისძიება გამართეს. ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებები, გაიმართა ხელბურთელთა საქალაქო ტურნირი, რომელიც საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ქალთა გუნდებში პირველობისთვის 5 კოლექტივი იბრძოდა. გაიმარჯვეს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხოლო III — უნივერსიტეტის გუნდი. სამაგიეროდ, ვაჟებში უნივერსიტეტელებმა იმარჯვეს. ასპარეზობის მონაწილე 8 გუნდიდან მათ და დინამოელმა ხელბურთელებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ უნივერსიტეტელებს I ადგილი მიეკუთვნათ, რადგან მათ დამარცხებული ჰყავდათ დინამოელები. III ადგილი წილად ხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს.



სურათზე: იერიშზეა უნივერსიტეტის გუნდის წევრი ლ. კარტოზია.

ფოტო გ. აბალაძისა.

სსრ კავშირის პირველობა

# „ზენიტი" თავგამოდებით იბრძოდა

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 22 ოქტომბერი.

„დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, სიჭინავა, მეტრეველი, გავაშელი, მესხი.

„ზენიტი": შაპოვალენკო, ბულავინი, ნაუმოვი, ლოხოვი, იუმაკულოვი, სადირინი, პოლიაკოვი, ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი (პოლოსოვი), უნანოვი.

მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 5:2 „ზენიტის" სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, თბილისში 22 ოქტომბერს მინდორზე გამოსული „ზენიტი" აბსოლუტურად არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც სულ რამდენიმე დღის წინ ძალზე სუსტად ითამაშა ერევანში და თითქმის უბრძოლველად განიცადა მარცხი დიდი ანგარიშით — 0:3. კიდევ მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ ტონი თამაშს ლენინგრადელებმა მისცეს. დაიწყო თუ არა მატჩი, გათამაშდა სწრაფი კომბინაცია, რომელიც საკმაოდ სახიფათო დარტყმით დაამთავრა ვიუნმა. გავიდა წუთი და სტუმრების ხელახალი იერიში ახალი სახიფათო მომენტით დამთავრდა, თუმცა გონჩაროვმა გადამწყვეტ მომენტში არაზუსტად ითამაშა.

სტუმრების ასეთ „განწყობილებას" სათანადო კონტრზომები ჭირდებოდა და დინამოელებმაც მაშინვე მიიღეს მათ მიერ შემოთავაზებული ტემპი. შეტევა „ზენიტის" კართან საკმაოდ გაძლიერებული ძალებით, ნახევარმცველთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა, მაგრამ საკმარისი გახდა დაწოლის ოდნავი მოდუნება, რომ ლენინგრადელთა თავდამსხმელები წამსვე გამოჩნდნენ „დინამოს" საჯარიმო მოედანზე, ამასთან ურუშაძეს ჯერ ერთობ სახიფათო ბურთის აღება მოუხდა ვიუნისგან, შემდეგ კი სადირინმა სულ მცირე მანძილით აცილა თავისი დარტყმა კარს.

ასეთ ორმხრივ, ძალზე სახიფათო შეტევებში მიმდინარეობდა მთელი ტაიმი. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა (განუწყვეტლივ წვიმდა და მიწა სველი იყო), ტემპი არ შენელებულა. საერთო უპირატესობა, მართალია, დინამოელთა მხარეს იყო, მაგრამ საგოლე მომენტებს არც „ზენიტი" ქმნიდა ნაკლებს. მაგალითად, 37-ე წუთზე მასპინძლები სასწაულებრივ გადაურჩნენ მარცხს. ურუშაძემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურიდან მოწოდებული ბურთი, რომელიც ზედიზედ სამჯერ იქნა ძლიერი დარტყმებით გაგზავნილი კარისკენ, იქ, სადაც „დინამოს" მთელი დაცვა იყო თავმოყრილი ზედ კარის ხაზზე.

ერთი სიტყვით, „ზენიტი" ძალების სრული მობილიზებით იბრძოდა და იოლ გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

თბილისელებს უკიდურესად საჭირო 2 ქულა მოუტანა ერთადერთმა გოლმა, რომელიც გუნდის ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა გავაშელმა გაიტანა 66-ე წუთზე. ცხოვრებოვის მიერ მოწოდებული ბურთი მან მიიღო ლენინგრადელთა საჯარიმო მოედნის ცენტრში, კარის უშუალო სიახლოვეს. მისი დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა — 1:0.

რ. ქორიძე.



ფეხბურთი ჩემპიონატი-68

## ქანდრები, გოლები, ავტორები

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში გატანილი გოლების ავტორთა ვინაობა.

მოსკოვის „დინამომ", როგორც ცნობილია, როსტოვში დაამარცხა ადგილობრივ არმიელთა გუნდი 3:0. ანგარიში გახსნა ლარინმა, მეორე ბურთი გაიტანა ევრიუჟიხინმა, ხოლო მესამე (პენალტი) 89-ე წუთზე — მასლოვმა.

„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „დინამო" (კიევი). მასპინძლებმა (კაპსინი) მე-2 წუთზე მიაღწიეს წარმატებას, მე-7 წუთზე მუნტიანმა გაქვითა გოლი — 1:1.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა). მოსკოველებმა თავიანთი უპირატესობის რეალიზება შეძლეს მხოლოდ მეორე ტაიმში. გოლების ავტორები არიან სტრელცოვი და ლენიოვი.

4 ბურთი იქნა გატანილი ერევნის „არარატისა" და მინსკის „დინამოს" შეხვედრაში. ერევნელთა მხრივ ეს გააკეთეს კოვალენკომ და ბონდარენკომ, ხოლო მინსკელთაგან — მალოფეევმა (2).

დრამატულად წარიმართა ტაშკენტის „პახტაკორისთვის" მატჩი ბაქოში, ადგილობრივ „ნეფტჩისთან": სტუმრები წინ იყვნენ — 1:0 (აბდურაიმოვი). საპასუხო ბურთი გაიტანა ბრუხტიმ, ხოლო მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას აკლდა 1 წუთი, სემიგლაზოვმა გამარჯვება მოუტანა „ნეფტჩის" — 2:1. (ბრუხტიც და სემიგლაზოვიც დაცვითი ხაზის მოთამაშეები არიან).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა შორის ასეთი მდგომარეობაა: 18-18 გატანილი გოლით ლიდერობენ ე. სტრელცოვი და ბ. აბდურაიმოვი. მესამე ადგილზეა თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი გ. გავაშელი — 14.

„ა" კლასი I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 34 | 20 | 12 | 2 | 54—22 | 52 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 34 | 19 | 8 | 7 | 55—37 | 46 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 33 | 17 | 11 | 5 | 52—24 | 45 |
| ცსკა | 34 | 18 | 9 | 7 | 46—28 | 45 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 34 | 16 | 8 | 10 | 49—30 | 40 |
| „დინამო" (თბილისი) | 34 | 15 | 10 | 9 | 43—24 | 40 |
| „დინამო" (მინსკი) | 32 | 14 | 10 | 8 | 39—30 | 38 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 33 | 10 | 14 | 9 | 43—41 | 34 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 33 | 10 | 14 | 9 | 33—35 | 34 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 34 | 11 | 10 | 13 | 36—44 | 32 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 34 | 10 | 12 | 12 | 22—35 | 32 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 34 | 9 | 13 | 12 | 31—44 | 31 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 34 | 9 | 12 | 13 | 35—36 | 30 |
| ასკ (როსტოვი) | 34 | 9 | 10 | 15 | 37—45 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 34 | 9 | 10 | 15 | 22—35 | 28 |
| „არარატი" (ერევანი) | 34 | 10 | 7 | 17 | 32—44 | 27 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 34 | 9 | 8 | 17 | 26—39 | 26 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 35 | 8 | 9 | 18 | 26—44 | 25 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 34 | 8 | 8 | 18 | 36—56 | 24 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 34 | 5 | 9 | 20 | 22—46 | 19 |

## გუშინ...

მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. მოსკოვის სპარტაკელებმა მიიღეს დონეცკის „შახტიორი". გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:1.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

● „სულორი" (ვანი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:0. მსაჯი ა. ხიანოზოვი (თბილისი).

ნაწვიმარ, ატალახებულ მინდორზე თავიდან თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და ანგარიშიც არ გახსნილა. შემდგომში ვანელმა ფეხბურთელებმა საფუძვლიანად აიღეს ხელთ ინიციატივა, მაგრამ წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 2 წუთი. გოლი „ბახმაროს" კარში გაიტანა ჯანელიძემ.

● „მშენებელი" (სიღნაღი) — „აერო" (გალი) 3:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

● „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — ასკ (თბილისი) 2:2. მსაჯი ი. ჩიქობავა (ცხაკაია).

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

მოწინააღმდეგეები თავიდანვე სრული შესაძლებლობებით ჩაებნენ დაძაბულ ბრძოლაში. ორივე გუნდის საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები და, მიუხედავად ამისა, პირველი 45 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმში, 75-ე წუთზე, ბაჩუკაშვილმა გაიტანა გოლი, რომელმაც თამაშის ბედი გადაწყვიტა მასპინძელთა სასარგებლოდ.

● „დურუჯი" (ყვარელი) — „სამცხე" (აწყური) 4:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

● „სინათლე" (თბილისი) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 2:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

სტუმრების დაცვასა და მეკარეს სრული დატვირთვით მოუხდათ მუშაობა და „ნარინჯმა" პირველ ტაიმში შეძლო თავისი კარის უხიფათობის დაცვა. მაგრამ მასპინძლებმა გამარჯვებას მაინც მიაღწიეს. ჯერ აივაზოვმა შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა კარში, ხოლო შემდეგ ლორიამ განამტკიცა „სინათლის" გამარჯვება — 2:0.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 1:3. მსაჯი თ. ნიშნიანიძე (თბილისი).

ბორჯომელებმა ანგარიში დასაწყისშივე გახსნეს, რასაც მოჰყვა „მესხეთის" საპასუხო გოლი — 1:1. მეორე ტაიმში სპარტაკელები მეტი მონდომებით, მეტი მობილიზებით თამაშობდნენ და კუპრეიშვილისა და ჩადუნელის მიერ გატანილი გოლების შემდეგ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

თბილისის „ისანს" გამარჯვება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან", ხოლო ცხაკაიის „კოლხეთს" — საგარეჯოს „გარეჯთან".

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა. „არაგვი" (დუშეთი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 1:1, „შირაქი" (წითელწყარო) — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) 0:0. ლაგოდეხის „ჰერეთს" გამარჯვება ჩაეთვალა ახალქალაქის „აბულთან", ხოლო ახმეტის „ბახტრიონს" — თბილისის „ელმავალმშენთან".

II ზონა. „განთიადი" (აბაშა) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 2:1, „განახლება" (ადიგენი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:2, „ტორპედო" (ქუთაისი) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 4:0.

„ბ" კლასი

გაიმართა მორიგი შეხვედრები საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს ზონებში.

### III ზონა

„არაზი" (ნახიჭევანი) — „ენერგია" (ვოლჟსკი) 0:0, „დაშკინი" (ზაქათალა) — „ტრუდი" (ენგელსი) 2:1, „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) — „ხიმიკი" (ბალაკოვო) — 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „უროჟაი" (სლავიანსკი) 2:1, „ტორპედო" (არმავირი) — „სპარტაკი" (ბელგოროდი) 1:3, „უროჟაი" (ლაბინსკი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 0:5, „უროჟაი" (მაიკოპი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 2:0, „უროჟაი" (სვეტლოგრადი) — „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „დილა" (გორი) 3:2.

### IV ზონა

„სევანი" (ოქტემბერიანი) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 3:1, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 0:6, „არაქსი" (ეჩმიაძინი) — „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) 1:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „უროჟაი" (გროზნო) — „ტრუდი" (კასპიისკი) 0:0, „ირისთონი" (მოზდოკი) — „უროჟაი" (დერბენტი) 2:1, „დინამო" (სოხუმი) — „ლორი" (კიროვაკანი) 4:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:0.

„ბ" კლასის რსფსრ-ს ზონებიდან უკვე გამოვლინდა მოკავშირე რესპუბლიკების 8 გამარჯვებული გუნდი, რომლებიც ფინალურ ჯგუფში გაითამაშებენ საერთო I ადგილს. ესენია: ბრესტის „სპარტაკი" (I ზონა), გორის „დილა", რუსთავის „მეტალურგი" (II ზონა), ლანჩხუთის „გურია", მახარაძის „მერცხალი", ოქტემბერიანის „სევანი", ეჩმიაძინის „არაქსი" და კიროვაკანის „ლორი" (IV ზონა).

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 24 ოქტომბრისათვის

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 40 | 27 | 6 | 7 | 63—20 | 60 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 40 | 23 | 10 | 7 | 53—35 | 56 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 39 | 22 | 10 | 7 | 66—22 | 54 |
| „ხიმიკი" (ბალაკოვო) | 40 | 20 | 14 | 6 | 48—18 | 54 |
| „დილა" (გორი) | 40 | 21 | 9 | 10 | 75—31 | 51 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 40 | 20 | 9 | 11 | 52—29 | 49 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 40 | 15 | 12 | 13 | 32—41 | 42 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 37 | 15 | 9 | 13 | 50—35 | 39 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 39 | 14 | 11 | 14 | 39—33 | 39 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 38 | 13 | 13 | 12 | 40—35 | 39 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 39 | 13 | 12 | 14 | 36—37 | 38 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 40 | 14 | 9 | 17 | 52—42 | 37 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 40 | 14 | 8 | 18 | 44—49 | 36 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 39 | 12 | 11 | 16 | 36—42 | 35 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 39 | 11 | 11 | 17 | 29—55 | 33 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 38 | 9 | 15 | 14 | 20—50 | 33 |
| „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) | 38 | 11 | 10 | 17 | 33—45 | 32 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 40 | 9 | 14 | 17 | 32—54 | 32 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 39 | 8 | 12 | 19 | 25—55 | 28 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 40 | 5 | 11 | 24 | 23—68 | 21 |
| „ურალანი" (ელისტა) | 39 | 5 | 8 | 26 | 27—71 | 18 |

### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" (ლანჩხუთი) | 39 | 23 | 6 | 10 | 72—38 | 52 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 40 | 22 | 8 | 10 | 61—30 | 52 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 40 | 21 | 7 | 12 | 64—40 | 49 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 39 | 20 | 8 | 11 | 54—31 | 48 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 39 | 18 | 12 | 9 | 40—42 | 48 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 39 | 18 | 11 | 10 | 52—32 | 47 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 39 | 21 | 5 | 13 | 48—35 | 47 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 40 | 16 | 12 | 12 | 54—42 | 44 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 39 | 15 | 13 | 11 | 47—38 | 43 |
| „შუქურა" (კობულეთი) | 40 | 14 | 14 | 12 | 52—56 | 42 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 38 | 15 | 11 | 12 | 46—34 | 41 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 39 | 15 | 9 | 15 | 38—43 | 39 |
| „დინამო" (სოხუმი) | 40 | 15 | 8 | 17 | 60—54 | 38 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 40 | 12 | 14 | 14 | 38—40 | 38 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 40 | 14 | 9 | 17 | 42—47 | 37 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 40 | 15 | 6 | 19 | 42—47 | 36 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 39 | 12 | 10 | 17 | 37—42 | 34 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 40 | 8 | 11 | 21 | 38—58 | 27 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 39 | 6 | 13 | 20 | 30—58 | 25 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 39 | 8 | 5 | 26 | 24—76 | 21 |
| „კახეთი" (თელავი) | 38 | 5 | 8 | 25 | 30—60 | 18 |

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ვეზიაზე

ჩოგბურთი. „დინამოს" კორტები (სანაპიროზე), 25 ოქტომბერი-3 ნოემბერი. სსრ კავშირის პირადი პირველობა. დასაწყისი 10 ს.

საქართველოს სპორტკავშირი და ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ქ. ნინიაშვილს მეუღლის

ეთერ გიორგის ასულ ფირანიშვილ-ნინიაშვილის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 25 და 26 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 27 ოქტომბერს, დღის 3 საათზე ბინიდან—დიღუბის ქ. № 4.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 11072